



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2013 წლის 24 დეკემბერი

№ 130/04

ობიექტი

ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსის წესი“.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ქადაგიძე

ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსის წესი

1. დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ლარის სიმბოლოს შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების წესს, აგრეთვე კონკურსის ჩატარებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პირობებს. აღნიშნული წესით ხელმძღვანელობენ ლარის სიმბოლოს შესარჩევი დროებითი კომისიის წევრები და დაინტერესებული პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გამოცხადებულ კონკურსში.

2. განაცხადის წარმოდგენის წესი

საკონკურსო განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველ სამუშაო დღეს 2013 წლის 27 დეკემბრიდან 2014 წლის 27 იანვრის ჩათვლით, 10:00 - 18:00 საათებში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #2 საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში. დაინტერესებული პირები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგენენ შემდეგ დოკუმენტებს:

ა) განაცხადს კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით;

ბ) ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი ლარის სიმბოლოს საკონკურსო ნიმუშს;

გ) ამ წესის შესაბამისად განსაზღვრულ დამატებით მასალებს.

ამასთან, ამ პუნქტის ბ და გ ქვეპუნქტებში მითითებული მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს განაცხადისგან განცალკევებით ერთ დალუქულ კონვერტში.

ა) განაცხადი მონაწილეობასთან დაკავშირებით

კონკურსში მონაწილეობის მოსურნე პირი ლარის სიმბოლოს შესარჩევ დროებით საკონკურსო კომისიას წარუდგენს განაცხადს დანართი 1-ში წარმოდგენილი ფორმის შესაბამისად. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: კონკურსის დასახელებას, ავტორის სახელს, გვარს და საკონტაქტო ინფორმაციას, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდებას, საიდენტიფიკაციო კოდს, ხელმძღვანელი პირის სახელს, გვარს და საკონტაქტო მონაცემებს.

ბ) ლარის სიმბოლოს საკონკურსო ნიმუში

განცხადებასთან ერთად დაინტერესებულმა პირმა ასევე უნდა წარმოადგინოს დალუქულ კონვერტში მოთავსებული ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი სიმბოლოს საკონკურსო ნიმუში შემდეგი წესებისა და მოთხოვნების დაცვით:

- ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი გრაფიკული სიმბოლოს ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს TIFF ფორმატში (TIF გაფართოების ელექტრონული ფაილის სახით);
- ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 50 მეგაბაიტს;
- ნიმუშის მინიმალური გარჩევადობა უნდა იყოს 1000x1000 პიქსელი სადაც სიგანე ანდა სიმაღლე არ უნდა იყოს 1000 პიქსელზე ნაკლები;
- სიმბოლოს ნიმუში გამოსახული უნდა იყოს თეთრ ფონზე შავი ფერის მოხაზულობით;
- რეკომენდებულია კონკურსანტმა არ წარმოადგინოს ისეთი ნიმუში, რომელიც სრულად განასახიერებს ან მნიშვნელოვნად ემსგავსება სხვა ქვეყნის ვალუტის სიმბოლოს;
- დალუქულ კონვერტზე და ასევე მასში მოთავსებულ მასალაზე ელექტრონულ ფაილში (ატრიბუტებში) არ უნდა იყოს მითითებული მისი წარმომდგენის სახელი, გვარი ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ერთი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.

გ) დამატებითი მასალები და მოთხოვნები

დაინტერესებული პირის მიერ მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა დალუქულ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მასალები:

- წარმოდგენილი საკონკურსო სიმბოლოს შინაარსობრივი აღწერა ტექსტური სახით, რომელიც განხილული იქნება როგორც სიმბოლოს კონცეფცია;
- წარმოდგენილი ლარის სიმბოლოს ნიმუშის მოხაზულობის დეტალური და ზუსტი მახასიათებლები. მაგალითად: ესკიზის სრული სიმაღლე და სიგანე, ხაზების სისქე, წრფივი ნაწილების დახრილობის კუთხის ზომები, ასევე წრიული ფორმის შემომსაზღვრელი რკალის სიდიდეები და ა.შ.
- სასურველია მაგრამ არა აუცილებელი, რომ დაინტერესებულმა პირმა წერილობით წარმოადგინოს რეკომენდაციები გრაფიკული სიმბოლოს გამოყენების შესახებ, მაგალითად სიმბოლოს რიცხვით მნიშვნელობასთან ერთად გამოყენების მოკლე ინსტრუქცია. ამ შემთხვევაში განაცხადს თან უნდა ახლდეს მითითებული წესით, სიმბოლოს გამოყენების ნიმუშები. აღნიშნული ნიმუშები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, როგორც ელექტრონულ მატარებელზე, ასევე ქალაქდზე დაბეჭდილი ფორმით.

კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსის მონაწილეს შესაძლებელია მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაცია კომისიას უნდა მიეწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეხუთე სამუშაო დღისა.

3. განაცხადების მიღების და განხილვის ვადები

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი. აღნიშნული თარიღის შემდეგ მიღებული განაცხადები არ იქნება განხილული დროებითი კომისიის მიერ. კომისიის წევრები წარმოდგენილ განაცხადებს განიხილავენ მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 90 დღის ვადაში.

4. სიმბოლოს ცვლილება

საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას მოახდინოს გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სიმბოლოს გრაფიკული მოხაზულობის შემდგომი მოდიფიკაცია მისი პირვანდელი სახის არსებითად დარღვევის გარეშე.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

წარმოდგენილი ნიმუშებიდან საბოლოო გამარჯვებული სიმბოლოს გამოვლენა მოხდება ლარის სიმბოლოს შესარჩევი დროებითი კომისიის მიერ, მას შემდეგ რაც სიმბოლო წარედგინება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს და იქნება დამტკიცებული.

6. კონკურსში გამარჯვებულის ჯილდო

კონკურსში გამარჯვებულისათვის განსაზღვრულია ფულადი ჯილდო 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

7. საავტორო უფლებები

კონკურსანტმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს განცხადება, სადაც ის ეთანხმება კონკურსის ამ წესებს და პირობებს, რომლებიც შესრულებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ მან უარი უნდა თქვას ნებისმიერ საავტორო თუ მომიჯნავე უფლებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე ამ უფლებებიდან გამომდინარე ნებისმიერ უფლებასა თუ მოთხოვნაზე. კონკურსანტმა, გამარჯვების შემთხვევაში, უარი უნდა განაცხადოს უფლებაზე, რომ მისი სახელი, როგორც ნიმუშის ავტორისა, მითითებულ იქნეს ნიმუშის ყოველ ეგზემპლარზე ან მისი ნებისმიერი სახით გამოქვეყნებისას.

კონკურსანტმა თანხმობა უნდა განაცხადოს, მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მისი სახელი და გვარი გამარჯვებულ ნიმუშთან მიმართებაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული იყოს საჯარო გამოსვლებში, განცხადებებში, ვებ გვერდზე თუ ბეჭდვით საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაში, სატელევიზიო თუ რადიო განცხადებებში, ასევე ეროვნული ბანკის შეხედულებისამებრ მისი ნებისმიერი ფორმით გავრცელების დროს.

დანართი 1 – კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი განცხადების ფორმა

საქართველოს ეროვნული ბანკის
 აღმასრულებელ დირექტორს, ლარის სიმბოლოს
 შესარჩევი დროებითი კომისიის თავჯდომარეს
 ბატონ გიორგი მელაშვილს

მე,, ლარის სიმბოლოს შესარჩევ კონკურსში (შემდგომში - კონკურსი) მონაწილეობით, ვეთანხმები და ვაღიარებ კონკურსის წესებს და პირობებს, რომლებიც შესრულებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, და კონკურსში ჩემს მიერ წარმოდგენილი ნიმუშის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ უარს ვამბობ ნებისმიერ საავტორო თუ მომიჯნავე უფლებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე ამ უფლებებიდან გამომდინარე ნებისმიერ უფლებასა თუ მოთხოვნაზე. გამარჯვების შემთხვევაში, მე უარს ვამბობ ჩემი სახელი, როგორც ნიმუშის ავტორისა, მიეთითოს ნიმუშის ყოველ ეგზემპლარზე ან შემდგომში მისი ნებისმიერი სახით გამოყენებისას.

მე, ქვემოთ ხელმომწერი, ჩემ მიერ წარმოდგენილი ნიმუშის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, თანხმობას გამოვთქვამ და საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლებას ვაძლევ გამარჯვებულ ნიმუშთან მიმართებაში ჩემი სახელი გამოიყენოს საჯარო გამოსვლებში, განცხადებებში, ვებ გვერდზე თუ ბეჭდვით საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაში, სატელევიზიო თუ რადიო განცხადებებში, ასევე, ნებისმიერი სხვა ფორმით გაავრცელოს ის.

კონკურსის დასახელება: _____ ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსი

კონკურსანტის სახელი და გვარი: _____

კონკურსანტის პირადი ნომერი: _____

კონკურსანტის საკონტაქტო ტელ: _____ ელ-ფოსტა: _____

(იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი იურიდიული პირია, მაშინ „კონკურსანტის სახელი და გვარის“ ნაცვლად მიეთითება მისი საფირმო სახელწოდება და ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი.)

თარიღი:

ხელმოწერა: